პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული ტრენინგები

გრაცის FH JOANNEUM უნივერსიტეტში

5-9 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორებმა ნინო ხოლუაშვილმა (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი) და ზაზა ცოტნიაშვილმა (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულეტეტი) მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებულ ინტენსიურ TOT ტრეინინგ-კურსებში, რომელიც გაიმართა პროექტის ევროპელ პარტნიორ გრაცის იოანეუმის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (FH JOANNEUM) (ავსტრია). ხუთდღიანი ინტენსიური ტრენინგი (30 საათი, 2 კრედიტი) ინოვაციურ სწავლებაში ითვალისწინებდა შესაბამისი კვალიფიკაციის ტრენერებისა და ინსტრუქტორების მომზადებას, სწავლისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების მიმართულებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, ბელარუსიის, და სომხეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები. ტრეინინგს ატარებდნენ FH JOANNEUM უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

სილაბუსის მიხედვით ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემატიკას:

პირველი დღე - შერეული სწავლება და შეხვედრა მოდერატორებთან და პრაქტიკოს მასწავლებლებთან (ტრენერები: Jutta Pauschenwein, Doris Kiendl, Ingrid Kienberger, Anastasia Sfiri). ტრენერებმა მოკლედ მიმოიხილეს გასავლელი კვირის თემატიკა, პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგნელებს გაუზიარეს შერეულ სწავლებასთან დაკავშირებული გამოცდილება და პრაქტიკული შედეგები. ტრეინინგის მონაწილეებმა წარადგინეს საკუთარი თავი და თავიანთი უნივერსიტეტები.

ტრეინინგის პირველივე დღეს მონაწილეებს მიეცათ ჯგუფური დავალება, კერძოდ, მათ უნდა შეერჩიათ პროექტი, რომელსაც შეასრულებდნენ კვირის განმავლობაში, მიღებული

ცოდნის გათვალისწინებით, და ტრეინინგის ბოლოს წარმოადგენდნენ შესრულებული პროექტის პრეზენტაცია ტრენერებისა და სხვა მონაწილეების წინაშე.

მეორე დღე - ელექტრონული სწავლების პლატფორმა და ონლაინპორტფოლიო, როგორც სტუდენტის შესახებ ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობა (ტრენერები: Tina Mossböck, Anastasia Sfiri). ტრენერებმა სასწავლო კურსის მონაწილეებს გაუზიარეს ელექტრონული სწავლების პლატფორმა - Moodle გამოყენების შესახებ საკუთარი გამოცდილება, განიხილეს Moodle დადებითი და ეფექტური შედეგები სწავლების პროცესში. ასევე, მონაწილეებს აუხსნეს ის, თუ როგორ ხდება Moodle მომხმარებლის პირადი გვერდის შექმნა, სტუდენტებისათვის დავალებების მომზადება პროგრამის მეშვეობით, ფაილების ატვირთვა და ა.შ.

ამავე დღეს ავსტრიელმა ტრენერებმა წარმოადგინეს თემა სტუდენტთა ელექტრონული პორტფოლიოს შესახებ და განმარტეს ელექტრონული პორტფოლიოს პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, რა სარგებლობა მოაქვს სტუდენტისათვის, პროფესორ-მასწავლებლის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებლისათვის აღნიშნულ პროდუქტს. ტრეინინგის მონაწილეებისთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა გრაცის FH JOANNEUM უნივერსიტეტში არსებული მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება ელექტრონული პორტფოლიოს (ე.წ. სტუდენტის პირადი საქმის) შექმნისა და გამოყენების თაობაზე.



მესამე დღე - მულტიმედიური ონლაინ სწავლებისათვის მასალის შექმნა (ტრენერები: Erika Pernold, Martin Gutzelnig). სასწავლო კურსის მსმენელებმა დაათვალიერეს მულტიმედიის ლაბორატორია, სადაც მათ Moodle პროგრამის მეშვეობით შექმნეს პირადი გვერდი, მოაწყეს იმიტირებული სასწავლო პროცესი, მისცეს შეფასებები, ატვირთეს დავალებები და სხვადასხვა ფაილები.

ავსტრიელმა ტრენერებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს თემა. თამაშის ელემენტების ჩართვით მათ გაამდიდრეს ტრეინინგი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინფორმაციის გამარტივებულად მოწოდებასა და აღქმას.



მეოთხე დღე - პროექტზე დაფუძნებული სწავლების ონლაინიარაღები და ჯგუფურ პროექტზე მუშაობა (ტრენერები: Ligia Pasqualin, Anastasia Sfiri, Ingrid Kienberger, Rita Santos). ავსტრიელმა პროფესორებმა უცხოელ კოლეგებს გაუზიარეს უნივერსიტეტის გამოცდილება პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას გამოსაყენებელი ონლაინიარაღების შესახებ. სწავლების ამ ფორმატში გრაცის უნივერსიტეტის მიერ გამოიყენება ისეთი პროგრამები, როგორიცაა MOOc, Trello და სხვა. მონაწილეებმა Trello-ს გამოყენებით შექმნეს საკუთარი სამუშო მაგიდა, მოამზადეს დავალებები, ატვირთეს სხვადასხვა ტიპის ფაილები.

დღის მეორე ნახევარში მონაწილეები დაიყვნენ ჯგუფებად და დაიწყეს კვირის პროექტის დამუშვება ასისტენტების დახმარებით.

ტრენინგის ბოლო დღეს ჩატარდა მონაწილეების მიერ კვირის განმავლობაში ჯგუფურად მომზადებული პროექტის პრეზენტაცია. პროექტი შესრულებული იყო ტრეინინგებზე მიღებული ინფორმაციის და გამოცდილების გამოყენებით. ტრეინინგის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები და გულითადი მადლობა გადაუხადეს პროექტის კოორდინატორებს და მასპინძელი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. მონაწილეებს პროექტში მონაწილეობის დასტურად გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები პროექტის ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ თავიანთ ქართველ კოლეგებს ტექნიკურ უნივერსიტეტში ორგანიზებული ტრენინგების საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს სტუ-ში ინოვაციური პედაგოგიკის ელემენტების პოპულარიზაციასა და განვითარებას.

PRINTeL პროექტთან (პროექტი PRINTeL - „ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლისა და სწავლების მხარდაჭერა სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის გააქტიურებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“) დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ PRINTeL პროექტის ოფიციალური ვებგვერდი და სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის ვებგვერდი.